P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ფულადი გზავნილები 2015 წლის პირველ ნახევარში 22.7%-ით შემცირდა

იხილეთ მე-5 გვერდზე

მედია და ახალგაზრდა ამომრჩეველი

იხილეთ სპეციალური ჩანართი

№9 (736) 3 - 9 აგვისტო, 2015 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

„ვეუბნები, ვეუბნები, ვეუბნები... მაგრამ ესმის ვინმეს?“

ნატო ქათამაძე ქუთაისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარისგან სამუშაო პირობების შექმნას ითხოვს!

ქუთაისის საკრებულოს უმრავლესობის „რესპუბლიკელი“ წევრი ნატო ქათამაძე ხელისუფლების უნიათობისადმი კვლავ შეურიგებელია. მას ადრე ამისათვის თავისივე კოალიციის წევრებისგან შენიშვნებიც მიუღია და „ოპოზიციაში ჩარჩენილის“ იარლიყიც, თუმცა, ქალბატონი დეპუტატი ყოველთვის სამართლიანობას და ობიექტურობას მიიჩნევს თავის მთავარ პრინციპად.

ამჯერად ნატო ქათამაძე პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გამოცემულ რეგლამენტს გამოეხმაურა, სადაც აღნიშნულია, რომ 32.5 გრადუს ცელსიუსზე მუშაობა დაუშვებელია. მან საკუთარ ფეისბუქგვერდზე ის პრობლემები გაასაჯაროვა, რაც საკრებულოს წევრებს აქვთ შექმნილი ხელისუფლების პირველი პირებისგან. გთავაზობთ ნატო ქათამაძის მიმართვას ქუთაისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ, რომელიც მან სოციალურ ქსელში გაავრცელა.

„მე რა ვქნა მე, შოთა მურღულია, დავით დვალი... 45-გრადუსიან ოთახში მიწევს მუშაობა ქუთაისის საკრებულოში, სადაც არ მუშაობს კონდიციონერი და ერთ კვირაზე მეტია, სუნთქვა ჭირს. ვის არ მივმართე, ვინ არ „შევაწუხე“ და დღეს მეუბნებიან, რომ „შესყიდვებს“ გამოაცხადებენ ახალი კონდიციონერის შესაძენად. არადა, ეს კონდიციონერი რომ შესაცვლელი იყო, უკვე 6 თვეა, იცოდნენ... ასევე, უსარგებლოა პერსონალური კომპიუტერი, არ მაქვს ნორმალური პრინტერი (მე კიდევ არამიშავს, საკრებულოს ზოგიერთ წევრს ამ დრომდე (უკვე ერთი წელია) არ აქვს კომპიუტერი, პრინტერი და საერთოდ, მაგიდაც კი...). სულ პრობლემაა სასმელი წყალი. 2-კვირიანი „ხვეწნის“ შემდეგ ძლივს ამოიტანეს... და საერთოდ, ბატონებო, როცა საკრებულოში პრემიებსა და დანამატებს არიგებთ და ბიუჯეტის ფულით სხვადასხვა სასჩუქრე ნაკრებებს ყიდულობთ (თქვენივე ოთახების „გასალამაზებლად“) და პირად კომფორტს იქმნით.**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

პრეზიდენტის „ნაციონალური“ გადაწყვეტილების ექო

„ოცნება“ პრეზიდენტს იმას ვერ პატიობს, რომ მას ღირსების გრძნობა აღმოაჩნდა“

„ნაციონალური მოძრაობის“ ხონის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, საპარლამენტო უმცირესობის წევრის, აკაკი ბობოხიძის ძმა, ლევან ბობოხიძე, რომელიც პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ შეიწყალა, მის მიმართ სიცრუის დეტექტორის გამოყენებას ითხოვს.

გათავისუფლების შემდეგ მან გაანაცხადა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და მზადაა, ხატზეც დაიფიცოს.

„მე არ ვიცი, რას ნიშნავს პოლიტმატიმარი. ვიცი, რომ უკანონოდ ვიყავი დაკავებული. ამერიკულ ფილმებში მინახავს სიცრუის დეტექტორი, თუ არის ამის საშუალება საქართველოში... მოვითხოვ, სიცრუის დეტექტორი გამოიყენეთ ჩემს შემთხვევაში. მე ვაჟკაცობა, სადაც საჭირო იყო, არაერთხელ დავამტკიცე და რამდენიმეჯერ თავიდან ვარ აწყობილი და არც გამიჭირდებოდა იმის აღიარება, რომ ჩავიდინე დანაშაული. მაგრამ შემიძლია, ხატზეც დავიფიცო, რომ არ ჩამიდენია დანაშაული,“ — განაცხადა ლევან ბობოხიძემ.

***

2014 წლის იანვარში „ნაციონალური მოძრაობის“ ხონის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან ბობოხიძე სახელმწიფო ქონების გაფლანგვასთან დაკავშირებული ბრალდებებით დააკავეს. პროკურატურის ცნობით, ლევან ბობოხიძემ, მისი ახლობლის, ნიკოლოზ კირთაძისათვის მატერიალური სარგებლის მისაღებად დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ყალბი დოკუმენტებით სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვას.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

1000 ლარის გამო ჩაშლილი ტურნირი საჩხერეში

რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს საჩხერის გამგებელი და სპორტსკოლის დირექტორი

იხილეთ მე-7 გვერდზე

დაუბრუნებენ თუ არა იძულებით ჩამორთმეულ ქონებას მოსახლეობას

იხილეთ მე-3 გვერდზე

როდის დაიწყება სწავლა საჯარო სკოლებში და რა სიახლეები ელოდებათ მოსწავლეებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

2016 წლიდან მთაში პენსიონერების პენსია 20%-ით გაიზრდება

იხილეთ მე-4 გვერდზე

ბრძოლა „პოლიეთილენის პარკების“ წინააღმდეგ გრძელდება

იხილეთ მე-4 გვერდზე

პრეზიდენტი „ოცნებას“ დაპირებების გადადებაში ადანაშაულებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

კიევში ქუთაისელი ფოტოგრაფების გამოფენა გაიხსნა

იხილეთ მე-5 გვერდზე

ჩინეთში ქართული ღვინის სახლი გაიხსნა

იხილეთ მე-5 გვერდზე

გაქვს იდეა ქუთაისის განვითარებისთვის..

იხილეთ მე-6 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

„ვეუბნები, ვეუბნები, ვეუბნები... მაგრამ ესმის ვინმეს?“

პირველი გვერდიდან

იქნებ გაიხსენოთ, რომ ჩვენ სამუშაო პირობები გვინდა...

არ დამიწყოთ ახლა, „აქ“ რატომ წერ და მათ პირადად არ ეუბნებიო... ვეუბნები, ვეუბნები, ვეუბნები... მაგრამ ესმის ვინმეს? — წერს საკრებულოს უმრავლესობის წევრი, ნატო ქათამაძე.

სოციალურ ქსელში, ბუნებრივია, ამ განცხადებას მრავალფეროვანი კომენტარები მოჰყვა, რომელთა შორის დაახლოებით ასეთი კონტექსტიც იყო: ახია თქვენზე, რატომ მეტს არ იზამენ, ხომ შეხვდით ზარ-ზეიმით, ხომ დაისვით ხელის გულზე, ნუღა წუწუნებთ. შეეგუეთ მათ პირობებს!

შეგუების რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს გამართულ საკრებულოს სხდომაზე რესპუბლიკელ დეპუტატს ქალაქის მერთან საქმიანი კამათიც ჰქონდა, თუმცა, ამჯერად სხვა საკითხზე.

სხდომაზე შოთა მურღულიამ განაცხადა, რომ გზების რეაბილიტაცია ქალაქში წარმატებით მიმდინარეობს, რასაც სხდომაზე დამსწრეთა ნაწილი არ დაეთანხმა და სამუშაოს შეფერხებებზე გააკეთა აქცენტი. ამ შენიშვნებმა მერის გაღიზიანება გამოიწვია და მისი „ჩაწყნარება“ ისევ ნატომ სცადა: „კეთილი ინებეთ და მაგ ტონით ნუ გველაპარაკებით, თუ სამსახურის უფროსები არ არიან კომპეტენტურები, მაშინ შეცვალეთ. არაერთხელ მოვისმინე თქვენგან — არ იცით, ჩახედული არ ხართ. ისევ უნივერსიტეტის მასწავლებელი გგონიათ თავი და ისე გველაპარაკებით. მოგწონთ თუ არა, უნდა მიიღოთ ეს ინფორმაცია. არაერთხელ გააკეთეთ ეს. გირჩევთ პატივი დაგვდოთ და ისე მოგვექცეთ, როგორც უმრავლესობის მერს ეკადრება,“ — მიმართა ნატო ქათამაძემ ქუთაისის მერს. შოთა მურღულიამაც უპასუხოდ არ დატოვა „თანაკოალიციელი“ დეპუტატი და არაკომპეტენტურობასა და ტელევიზიებთან სპეკულირებაში დაადანაშაულა. „თუ ფიქრობთ, რომ ლექტორობის პერიოდში ვინმე სტუდენტს ან მოსწავლეს შეურაცხყოფა მივაყენე, ძალიან ცდებით. ხშირად არაკომპეტენტური თემებით გამოირჩევით და ტელევიზიების წინაშე სპეკულირებთ,“ — განუცხადა შოთა მურღულიამ დეპუტატს.

სხდომაზე მეტი „გაწევ-გამოწევა“ აღარ ყოფილა, თუმცა, ფაქტია, რომ „რესპუბლიკელი“ და თან „არაკომპეტენტური“ დეპუტატი კიდევ კარგა ხანს დარჩება უკომპიუტეროდ და უკონდიციონეროდ...

ნატო გულბანი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.
ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S.“
(„პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ᵃ. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

პრეზიდენტის „ნაციონალური“ გადაწყვეტილების ექო

„ოცნება“ პრეზიდენტს იმას ვერ პატიობს, რომ მას ღირსების გრძნობა აღმოაჩნდა“

პირველი გვერდიდან

„კერძოდ, 2010 წელს, ლევან ბობოხიძის მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ ჯიბუხაიამ და გამგებლის მოადგილე ბესარიონ ჭელიძემ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამასალე და საშეშე მერქანი, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტის დადგენილების თანახმად სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უნდა გადაეცათ, უსასყიდლოდ გადასცეს ნიკოლოზ კირთძეს. ამ უკანასკნელმა კი მიღებული მერქანი ცალკეული მოქალაქეების სახელზე შედგენილი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩააბარა ხის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელებმა, ლევან ბობოხიძის დავალებით, მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა ნიკოლოზ კირთაძეს გადასცეს.

აღნიშნული ქმედებით გაიფლანგა ხონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით — 93,299მ³, 12 580,69 ლარად ღირებულების ქონება, რითაც სახელმწიფოს მიადგა ზიანი. გამოძიებით დადგინდა ასევე, რომ ლევან ბობოხიძე 2006 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე, ხონის მუნიციპალიტეტის უკლებლივ ყველა თანამშრომლისგან, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწევროს სახით, ყოველთვიურად სახელფასო განაკვეთის 10%-ს კრეფდა, რომელიც თითქოსდა უნდა მოხმარებოდა ხონში მცხოვრებ ამავე პარტიის დაუსაქმებელ აქტივისტებსა და სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას, რეალურად კი თანხას ლევან ბობოხიძე განკარგავდა თავისი შეხედულებისამებრ,“ — აცხადებდნენ მთავარ პროკურატურაში.

***

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებამ, შეეწყალებინა ბობოხიძე, მთავრობაში უკმაყოფილება გამოიწვია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა, მის გადაწყვეტილებას ნაჩქარევი უწოდა.

„აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად მსჯავრდებულ ლევან ბობოხიძესთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრეზიდენტისთვის ან შეწყალების კომისიისთვის რაიმე სახის რეკომენდაციით არ მიუმართავს,“ — განცხადეს სამინისტროში.

ამავე სამინისტროს მტკიცებით, შეწყალების სახელმწიფო კომისიამ თავად გამოითხოვა ლევან ბობოხიძის დახასიათება. ამასთან, კომისიამ საქმე მონაცემების მიღებიდან ორი თვის შემდეგ განიხილა და შესაბამისად, არ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა ამასობაში საპატიმროს რეჟიმის დარღვევა მოასწრო.

ყოფილი პატიმრის შეწყალების გამო, პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა გიორგი მარგველაშვილს** ცინიკურად „ნაციონალური და კეთილშობილური“ პრეზიდენტი უწოდა. ღარიბაშვილი ამბობს, რომ მას იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი საკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და „სხვა კეთილ ადამიანებსაც“ შეიწყალებს. პრემიერის განცხადებით, საზოგადოებამ ჭეშმარიტად „ნაციონალური“ პრეზიდენტი იხილა. „ძალიან კარგია, რომ ასეთი კეთილშობილი პრეზიდენტი გვყავს,“ — დასძინა ღარიბაშვილმა.

უმრავლესობის სხვა წევრები კი, ქვეყნის პირველ პირს განმარტებების გაკეთებას სთხოვენ და კითხვით მიმართავენ — შეწყალების აქტის გამოცემისას რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს.

„პრეზიდენტს კითხვით მივმართავ — გადაწყვეტილება რა კრიტერიუმებით მიიღო?! კარგი იქნება, თუკი ის ამ კრიტერიუმებს დაასახელებს. იქნებ, მართლაც რაღაც კრიტერიუმი იყო და არ ვიცით,“ — კითხვას სვამს უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, რომლის პათოსს იზიარებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელია.** „ძალიან ბევრი კითხვა მიჩნდება, რადგან ჩვენი კომიტეტიდან ბევრი შუამდგომლობაა გაგზავნილი და ბევრი ადამიანი სასჯელს იხდის, რომელთა შეწყალება შესაძლებელია, თუმცა, დადებით პასუხებს ვერ ვიღებთ. კითვები მიჩნდება, განმსაზღვრელი რა არის — პოლიტიკური მოტივი თუ სამართლიანი მიდგომა?! როდესაც, პრეზიდენტი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს და კითხვები ჩნდება, მან განმარტება უნდა გააკეთოს,“ — აცხადებს ბესელია. გაკვირვებული და გაღიზიანებული მმართველი გუნდის საპირისპიროდ, შეწყალების აქტით ოპოზიცია გახარებული დარჩა.

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე პატიმრობიდან ძმის გათავისუფლების გამო, მადლობას როგორც პრეზიდენტს, ასევე შეწყალების კომისიას უხდის და აცხადებს, რომ ამ პროცესში მისი როლი უმნიშვნელოდ არსებობდა. კანონმდებელი ძმის შეწყალებასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც ეხმაურება და ამბობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს სიტყვა — ადეკვატური ძალიან უყვარს და მას ჰგონია, რომ ამ სიტყვას რაც უფრო ხშირად გამოიყენებს, მით უფრო ადეკვატური იქნება. დეპუტატის შეფასებით, სამწუხაროდ, საქართველოს აბსოლუტურად არადეკვატური პრემიერი ჰყავს. „პრეზიდენტმა გადაწყვეტილება კომისიის მოსაზრებებზე დაყრდნობით მიიღო. იმედი მაქვს, პრემიერის მოლოდინი გამართლდება და მის მიერ ჩამოთვლილი ადამიანების შეწყალებასაც მოეწერება ხელი. „ქართული ოცნება“ პრეზიდენტს იმას ვერ პატიობს, რომ მას ხელისუფლების ბევრი წევრისგან განსხვავებით, ღირსების გრძნობა აღმოაჩნდა,“ — აცხადებს დეპუტატი. ბობოხიძის განმარტებით, შეწყალების კომისიამ მის ძმასთან ერთად, სამი ადამიანი შეიწყალა. მათ შორის, ხონის ყოფილი გამგებელი ზურაბ ჯიბუხაია. „კომისიამ სხდომაზე თავდაპირველად ზურაბ ჯიბუხაიას საკითხი განიხილა, რის შემდეგაც დღის წესრიგში ჩემი ძმის საკითხი დადგა. ამ პროცესში კაკო ბობოხიძის როლი შეიძლება არსებობს, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ,“ — დასძენს ბობოხიძე, რომლისგან განსხვავებით, მიღებული გადაწყვეტილების გამო.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი და ყოფილი თანაგუნდელი გიორგი ცაგარეიშვილი აღნიშნავს, რომ ღარიბაშვილს მორალური უფლება არ აქვს, მარგველაშვილი აკრიტიკოს. ცაგარეიშვილის მოსაზრებით, პრეზიდენტს პატიმრის შეწყალების უფლება ჰქონდა და მან ეს უფლება გამოიყენა. „ეს ადამიანები პოლიტპატიმრები არ იყვნენ, ისინი გასამართლდნენ და გარკვეული სასჯელი მოიხადეს. ხშირად, ადამიანი საკუთარ თვალში ბეწვს ვერ ხედავს და სხვისაში დირეს ეძებს. ღარიბაშვილსაც ასე დაემართა. ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის ზღვარი წაშლილია. ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც ნაციონალებსაც ემსახურებოდენ და ახლა ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებენ. ოპოზიციაში ყოფნის დროს სასამართლო სისტემაში საქმიანობის გამო მურუსიძეს ვაკრიტიკებდით, რომელიც ახლა სამართლიანობის მტრედი გახდა. ასევე წუწუკიანი ამბობდა, რომ ბადრიაშვილს ყველაფრისთვის პასუხი უნდა ეგო, მან კი ე.წ. კაბელების საქმეზე რა გააკეთა, გახსოვთ,“ — აცხადებს დეპუტატი. „ოცნება“ ისე იქცევა, როგორც ნაციონალები იქცეოდნენ. ფაქტობრივად, მათი ქმედებები ერთი-ერთზე ერთმანეთს ემთხვევა. ხელისუფლებამ საკუთარი ლექსიკონიდან — „არა“ ამოიღო და ყველაფერზე — „კი, ბატონო ბიძინა“ დატოვა. მათ ლექსიკაში „არა“ აღარ არის და მხოლოდ „კი“ დარჩა,“ — ამბობს ცაგარეიშვილი.

რაც შეეხება შეწყალების კომისიის პოზიციას, კომისიის ხელმძღვანელი **ზვიად ქორიძე** განმარტავს, რომ შეწყალების თაობაზე ლევან ბობოხიძის საქმეს სასჯელაღსრულების დაწესებულების დადებითი რეკომენდაცია ახლდა. მისი ცნობით, კომისია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ იღებს და უცნაური იქნებოდა, პრეზიდენტს ეთქვა, რომ ლევან ბობოხიძე ციხეში უნდა დარჩენილიყო. „შეწყალების მექანიზმი არ არსებობს იმიტომ, რომ მან გამოასწოროს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები. შეწყალების კომისია სამართალს არ აღასრულებს. ეს დიდი ჟიური არ არის. შეწყალების კომისია გადაწყვეტილებას შეწყალების თაობაზე იღებს და არა იმაზე, რომ აღასრულოს სამართალი,“ — აცხადებს ქორიძე.

თეონა მანაგაძე

პრეზიდენტი „ოცნებას“ დაპირებების გადადებაში ადანაშაულებს

„რამდენად სამართლიანია, რომ სამართლიანობას გადავდებთ, არ ვიცი“ — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მან მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას წინასაარჩევნო დაპირება შეახსენა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ცვლილების შესახებ. მისი თქმით აღნიშნული სისტემის ცვლილება სამართლიანობის დადგენაა, ხოლო 2016 წლისთვის ამ ცვლილების გადადება სამართლიანობის გადადებას ნიშნავს.

გთავაზოთ ნაწყვეტს პრეზიდენტის საუბრიდან:

„ქართული ოცნების“ საარჩევნო დოკუმენტებში ნათლად იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ უნდა შეცვლილიყო მაჟორიტარული სისტემა და უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემა შეგვექმნა. ამას ვამბობდით, როცა ვიყავით ოპოზიციაში. მეტიც, არაერთი ჩემი მეგობარი და კოლეგა, რომელიც დღეს უმრავლესობის რიგებშია, გმირულად, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად იბრძოდა ამ მიმართულებით ცვლილებებისთვის წლების განმავლობაში. ასევე არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირებული აქვთ თავიანთი პოზიცია.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ თვალსაზრისით შექმნა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იმ ჯგუფებისთვის, ვინც ამ საკითხზე მუშაობს, ძალიან საინტერესო შესაძლებლობა და ფორუმი, რომელმაც მათ საშუალება მისცა დაეფიქსირებინათ ერთიანი პოზიცია და ხედვა იმ ცვლილებების თაობაზე, რომელიც მნიშვნელოვანია უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

მე არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ჩემი ერთ-ერთი ამოცანა ამ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებაში მდგომარეობს. ქართული დემოკრატია ვერ იქნება ბოლომდე სტაბილური, თუ ჩვენ პარლამენტში არ გვეყოლება ძლიერი პოლიტიკური პარტიები — არა მარტო სამთავრობო, არამედ — ოპოზიციური. მაჟორიტარულიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლაც სწორედ იმიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ის ბევრად უფრო კომფორტულ სათამაშო მოედანს უქმნის პოლიტიკურ პარტიებს. საქართველოში პოლიტიკური პარტიები კი ის სტრუქტურებია, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ცხოვრება.

რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნებიან ლიდერები, გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ სტაბილურად ქვეყანა ვითარდება, როდესაც არსებობენ სტაბილური პოლიტიკური მოთამაშეები და ამომრჩეველი ირჩევს არა ერთს გადამრჩენლად და „ვნახოთ, რა მოხდება“, არამედ — თავისთვის შესაფერის პოლიტიკურ ძალას, რომელიც წარმოადგენს მის ინტერესს პარლამენტში.

ასე რომ, საქართველომ უნდა მიიღოს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც გააძლიერებს და შესაძლებლობას შეუქმნის პოლიტიკურ ძალებს უფრო სტაბილურ ვითარებაში, არა გადამრჩენელი და დამანგრეველი, არამედ „მოდი, ავირჩიოთ, რომელი ჯობია“ ვითარებაში გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება.

ახლა ჩვენი დემოკრატიის წინაშე უფრო დივერსიფიცირებული საათამაშო მოედნის შექმნის ამოცანა დგას. ამ მოედანზე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომელიმე ძალამ მოიგოს, მაგრამ დასჭირდეს სხვასთან პარტნიორობა იმისთვის, რომ შექმნას უმრავლესობა. ეს ჯანმრთელი პოლიტიკური პროცესია და მე სწორედ ამ პოლიტიკური პროცესის იმედი მაქვს საქართველოში“.

დაუბრუნებენ თუ არა იძულებით ჩამორთმეულ ქონებას მოსახლეობას

საკუთრების დაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციების, დაზარალებულთათვის შესაბამისი კომპენსაციის მექანიზმებისა და, ზოგადად, განსახლების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არქონა, ისევე, როგორც მოქალაქეთა მიერ საკუთარი უფლებების არცოდნა, დაინტერესებულ მხარეებს აძლევს საშუალებას კანონის არასწორი გამოყენებით ან ინტერპრეტაციით შელახონ საკუთრების უფლება. სწორედ ამიტომ, 2011 წელს, ფონდის — „ღია საზოგადოება — საქართველოს" ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი „საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში". პროექტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა" და „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" ახორციელებდნენ.
პროექტის მიზანი საკუთრების უფლების დაცვის, ამ უფლების დაცვის გარანტიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ასევე, საკუთრების ხელყოფის საფრთხეების შემცირება და უკვე დაზარალებული მოსახლეობისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და განსახლების პოლიტიკის შემუშავება გახლდათ.

2004-2012 წლებში ქონების იძულებით დათმობის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის და ჩუქების ასეულობით ფაქტია გამოვლენილი, რომლებსაც პროექტის ფარგლებში თავი მოეყარა, გაანალიზდა და შესაბამისი რეკომენდაციებიც შემუშავდა.

2004-2012 წლებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამორთმეული ქონების საკითხი კვლავ ბუნდოვანია. დაზარალებულ მოსახლეობას ამ დრომდე არ აქვს კითხვაზე პასუხი — დაუბრუნებს თუ არა სახელმწიფო იძულებით დათმობილ ქონებას, ან რა სახით მოხდება მათი უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რას აკეთებს სახელმწიფო შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების და შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" პროექტის მენეჯერი გია გვილავა:

— ჩვენ, ამ პროექტის ფარგლებში, გამოვითხოვეთ ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროდან იმის შესახებ, ვინ, რა ქონება და დროის რა მონაკვეთში გადასცა სახელმწიფოს სიმბოლურ თანხად ან, საერთოდ, უსასყიდლოდ. ყველა ეს ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროში ინახება. მონაცემები მოიცავს 2004 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში გახორციელებულ ტრანზაქციებს.

აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის უძრავ-მოძრავი ქონება და წილები, ასევე, მოთხოვნის უფლებები უსასყიდლოდ იყო სახელმწიფოსთვის გადაცემული, რომლის საერთო ღირებულება 100 მილიონ ლარზე და ათეულობით მილიონ დოლარზე მეტია. თუმცა, ეს არის ამ ქონების ოფიციალური საბაზრო ღირებულება. მაგრამ რეალურად შესაძლებელია, გაცილებით მეტი თანხა ყოფილიყო.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი ფიზიკური პირი გადასცემს 12-15 მიწის ნაკვეთს სახელმწიფოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უსასყიდლოდ. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ასეულობით ავტომობილია სახელმწიფოსთვის გადაცემული ასევე უსასყიდლოდ, ან როდესაც დედაქალაქში არის დაფიქსირებული უძრავი ქონების გადაცემის ფაქტები. მაგალითად, დედაენის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა ერთ-ერთმა პირმა, ასევე, რამდენიმე კომერციული ფართი რუსთაველის გამზირზე და ცენტრალურ ადგილებში. არის შემთხვევები რეგიონებშიც, სადაც სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები გადაეცემოდა.

— დარღვევა ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხში იკვეთება, თუ არის გამონაკლისებიც?

— ხშირ შემთხვევაში, ჩვენ გვქონდა ეჭვი, რომ ეს იყო ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც გარკვეულ ზეწოლასთან იყო დაკავშირებული ფიზიკურ პირზე ან ბიზნესზე. თუმცა, ჩვენს კვლევებში ასეულობით ტრანზაქციაა მოცემული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პრობლემაა. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც თავისი სურვილით გადასცემდნენ პირები სახელმწიფოს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დადასტურდა, რომ ქონება პირებს იძულებით დაათმობინეს. ჩვენი კვლევის მიზანი პრობლემების აღმოჩენა იყო და ვფიქრობთ, ამას მივაღწიეთ. გამოვიტანეთ საჯაროზე იმ ქონების მოცულობა, რომელიც ძალიან დიდი ღირებულებისაა და უსასყიდლოდ არის გადაცემული სახელმწიფოსთვის.

— მიმართეს თუ არა ამ პირებმა სახელმწიფოს ქონების დაბრუნების მოთხოვნით 2012 წლის შემდეგ?

— ჩვენ ცალკე დაგვიკავშირდა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც მიმართეს პროკურატურას განცხადებით, თუმცა, რა შედეგი დადგა, ეს ინფორმაცია აღარ გვაქვს. ასევე, ჩვენც გვქონდა რამდენიმე ფაქტზე განცხადება პროკურატურაში შეტანილი — ეს ეხება ანაკლიის, საირმისა და გონიოს ტერიტორიებზე გახორციელებულ ტრანზაქციებს. გამოვაქვეყნეთ კიდეც პატარა ვიდეოკლიპი, სადაც დაზარალებულები პირდაპირ საუბრობენ ზეწოლაზე, რომ მათ მუქარით აიძულეს სახელმწიფოსთვის ქონების ჩუქება, თუმცა, არცერთ ამ ფაქტზე პროკურატურის მხრიდან რეაგირება არ გვინახავს. არც კი ვიცით, დღეს გამოძიების რა ეტაპზეა ეს საქმეები.

— აღნიშნული საკითხით მთავარ პროკურატურაში შექმნილი დეპარტამენტი არ დაინტერესდა?

— სანამ მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნებოდა, აქტიური კომუნიკაცია გვქონდა პროკურატურასთან. მაშინ ოფიციალურადაც აცხადებდნენ, რომ მიმდინარეობდა საქმეების გამოძიება, თუმცა, საქმეების სიმრავლიდან გამომდინარე, ის დროში ჭიანურდებოდა. ახალ დეპარტამენტსაც, დაახლოებით, იგივე პასუხი აქვს, რადგან ძალიან ბევრი საქმეა მათ წინაშე. როდის მიენიჭება ამ საქმეებს პრიორიტეტი ან როდის მოუწევს გამოძიება, არ ვიცით. მათ მიერ რამდენიმე საქმეზე საჯაროდ გაკეთებული განცხადება ძალიან ცოტაა, რადგან პრობლემა რეალურად გაცილებით მეტია.

— დაზარალებული მოსახლეობის ნაწილი სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვას აპირებდა. თუ არის საქმე წარმოებაში მიღებული და რა ეტაპზეა ის?

— რამდენიმე საქმე არის წარმოებაში მიღებული. ერთ-ერთი ანაკლიის საქმეზე, სადაც პირს 48 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჩამოართვეს. ქონების ჩამორთმევა ამ შემთხვევაში განსხვავებული ფორმით მოხდა. საკუთრების უფლება ნამდვილად შეიზღუდა და ამ ადამიანმა ეს საქმე ორი წლის წინ სტრასბურგში გაასაჩივრა. ეს პროცესი ჯერ არ მიმდინარეობს. კიდევ არის რამდენიმე საქმე, რომელიც საია-მ გააგზავნა ევროსასამართლოში. ხშირად იყო ის პრობლემებიც, რომ სასამართლო სისტემის გავლით ვერ ხერხდებოდა დარღვეული უფლების აღდგენა. ძალიან ბევრმა არ იცოდა პროცედურები, არ ჰქონდათ გასაჩივრების რესურსი და ვადები გაუშვეს, რის გამოც პროცესები წაგებული აქვთ. მათ ამის შემდეგ ვერ ან არ გაასაჩივრეს სტრასბურგში. თუმცა, ეს ადამიანები რეალურად დაზარალდნენ. ეს პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონის მოსახლეობას ეხება.

— რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ პროექტის ფარგლებში და შემდგომ გაცემულ რეკომენდაციებს, რამდენად ითვალისწინებს მათ ახალი ხელისუფლება?

— ამ კუთხით ძალიან ბევრი რეკომენდაცია არსებობს, მათი დიდი ნაწილი ექსპროპრიაციას ეხება. ამ კუთხით, კანონზე რეალურად მუშაობა, რამდენადაც ვიცი, არ მიმდინარეობს და ისევ ის კანონი გვაქვს, რაც წლების განმავლობაში იყო. რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, ძირითადად, ჩვენი მოთხოვნა იყო გამოძიება დაწყებულიყო და აღდგენილიყო ხალხის უფლებები. თითქოს გადაიდგა ნაბიჯები მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნით, მაგრამ, ჯერჯერობით, შედეგი არ გვაქვს. გასაგებია, რომ ბევრი საქმეა, მაგრამ ამ დეპარტამენტის შემთხვევაში, არ ვიცით, როგორ და რა საქმეებს ანიჭებენ პრიორიტეტს, ვინ წყვეტს ამას და რატომ არის ეს საქმეები ნაკლებმნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციების დიდი ნაწილი ძალაში არ არის.

პრობლემების ნაწილი ეხება ექსპროპრიაციას, ნაწილი — განსახლების პრობლემას, საჯარო რეესტრში რეგისტრაციას და ა.შ. ამ კუთხით უზენაეს სასამართლოს აქვს კარგი პრაქტიკა და ნაწილობრივ ეს მოგვარებულია, თუმცა, საკანონმდებლო დონეზეც უნდა მოგვარდეს. ეს პრობლემა ყოველთვის იქნება, თუ კანონმა არ გაითვალისწინა და მიწის კადასტრი და საჯარო რეესტრის მუშაობის პრინციპი ამ კუთხით არ გაუმჯობესდა.

— რეალურად რამდენად არის შესაძლებელი, დაზარალებულ პირებს სახელმწიფომ ზიანი აუნაზღაუროს?

— ამაზე საუბარი ახლა ძალიან რთულია. ჩვენ ჯერ ის პრობლემა გვაქვს, რომ რეალურად არ ვიცით, რამდენი ადამიანია დაზარალებული — ეს არავის დაუთვლია. შესაბამისად, არ ვიცით, რა თანხაა საერთო ჯამში კომპენსაციის სახით გაცემული. ის, რაც ჩამოერთვათ, გასაგებია, მაგრამ მარტო უძრავი ქონებაც არ არის პრობლემა. თუ დადასტურდა სახელმწიფოს, პროკურატურის, სამართალდამცავების ჩარევა, მაშინ გამოდის, რომ ეს ზიანი უნდა აანაზღაურონ. თუ დიდ თანხაზეა საუბარი, მაშინ რამდენად არის სახელმწიფო ამ ზიანის ანაზღაურებისთვის მზად? თეორიულად, შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, თუმცა, პრაქტიკულად რამდენად გახორციელდება ეს ყველაფერი, ძალიან ძნელი სათქმელია.

(კომიქსის ავტორი რუსუდან ხიზანიშვილი)

**მასალა მომზადებულია პროექტის — „საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" — ფარგლებში.
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო".
პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

GRMA
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

საია
Georgian Young Lawyers' Association

მწვანე ალტერნატივა

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

ბრძოლა „პოლიეთილენის პარკების" წინააღმდეგ გრძელდება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ნარჩენების მართვის ახალი მიდგომების დანერგვის პარალელურად პოლიეთილენის პარკებით გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ აქტიურ კამპანიას აგრძელებს. სამინისტროს ინიციატივით, 2015 წლიდან პოლიეთილენის პარკებს ეტაპობრივად ბიოდეგრადირებადი პარკები ჩაანაცვლებს.

სუპერმარკეტების ქსელი „ნიკორა" პირველია სუპერმარკეტებს შორის, რომელმაც სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში, პოლიეთილენის პარკები სრულად ჩაანაცვლა ბიოდეგრადირებადით. სამინისტროს ინიციატივას მხარს უჭერენ საქართველოში არსებული მსხვილი სავაჭრო ქსელები და წლის მანძილზე პოლიეთილენის პარკებს ბიოდეგრადირებადით ეტაპობრივად ჩაანაცვლებენ. „ნიკორას" გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია სტუმრობდა. პოლიეთილენით გარემოს დაბინძურების პრობლემა აქტუალურია მთელი მსოფლიოსთვის და მათ შორის საქართველოსთვის. პოლიეთილენის პარკის გარემოში დაშლას ასეულობით წლები სჭირდება და დიდ ზიანს აყენებს გარემოს. მაშინ, როდესაც ბიოდეგრადირებადი პარკი 3-6 თვიდან იწყებს გარემოში დაშლას. სამინისტრო ბიოდეგრადირებადი პარკებისა და მრავალჯერადი ჩანთების გამოყენების დანერგვით ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიეთილენის პარკების მოხმარების შემცირებას და საბოლოოდ პოლიეთილენის მთლიანად ამოღებას.

როდის დაიწყება სწავლა საჯარო სკოლებში და რა სიახლეები ელოდებათ მოსწავლეებს

2015-2016 სასწავლო წლის დაწყებამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა. სასკოლო პროცესის დაწყებისთვის კი მზადება უკვე მიმდინარეობს. წინა წლისგან გასხვავებით, წელს მოსწავლეებს ნაკლები სიახლე ელოდებათ. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა აღნიშნა, მხოლოდ რამდენიმე პროგრამული ცვლილება განხორციელდება და ისიც პროგრამების დახვეწის კუთხით. უწყებას ძირითადი აქცენტი ცვლილების კუთხით, წელს პედაგოგებზე აქვს გაკეთებული.

„უფრო მეტი პროგრამული სიახლე მოსწავლეებისთვის 2016-2017 წლებში გვაქვს დაგეგმილი. ვმუშაობთ გრიფირებაზე, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიცვლება სახელმძღვანელოები. წლევანდელი ძირითადი სიახლე კი პედაგოგებს ეხებათ. მათზე გვაქვს კონცენტრირება. პედაგოგიკას სჭირდება სისტემატიზაცია, რაც ამდენი ხანი სრულად იყო მოშლილი. ჩვენი ყურადღება წელს ძირითადად მათზეა მიმართული," — ამბობს თამარ სანიკიძე.

კიდევ ერთი სიახლე, რაც სექტემბრიდან 125 332 მოსწავლეს შეეხება ეს ახალი სასკოლო ინვენტარია. სწორედ ამდენი მერხის შეძენას აპირებს სამინისტრო სექტემბრისთვის.

„აქამდე სტანდარტები და პარამეტრები არასდროს ყოფილა დაცული, არ შეიძლება პირველკლასელი და მეექვსე კლასელი ერთი ზომის მერხთან იჯდეს. არსებობს შესაბამისი სტანდარტი და ნებისმიერი ახალი შესყიდვა ამ კუთხით მკაცრად გაკონტროლდება," — აცხადებს მინისტრი.

სექტემბრიდან ექიმის ახალი კაბინეტები დამატებით 74 საჯარო სკოლაში ამოქმედდება. ეს სიახლე სამინისტროს 485 730 ლარი დაუჯდება. ექიმის კაბინეტის განახლება სამინისტრომ გასულ წელს დაიწყო და სულ სამედიცინო პუნქტით უკვე 223 სკოლა აღიჭურვა.

„ექიმები თავიანთ კაბინეტებში არ სხედან და არ ელოდებიან როდის მივა მათთან მოსწავლე. ძალიან აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, განუყოფელი ნაწილიც კი გახდნენ. დადიან კლასებში, ჰიგიენის საკითხებზე ატარებენ გაკვეთილებს და მოსწავლეებს ფსიქოლოგიურ დახმარებასაც უწევენ. ნამდვილად გაამართლა და მომავალი სასწავლო წლისთვის სხვა სკოლებშიც გავხსნით," — აღნიშნა მინისტრმა.

სექტემბერში მნიშვნელოვანი სიახლე ელოდებათ კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს, თეთრიწყაროს სოფელ სამღერეთის, მცხეთის რაიონის სოფელ წილკაანისა და მუხრანის, ახალქალაქის სოფელ ბუღაშენის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგურის სვირის, ქარელის სოფელ აბანოს, ადიგენის სოფელ არალის მოსწავლეებს — ისინი ახალ სასწავლო წელს ახალი სკოლებით შეხვდებიან. 103 ახალი სკოლა გაიხსნება თბილისშიც. ახალ სკოლებში სწავლას 2 984 მოსწავლე დაიწყებს. ახალი სკოლებისთვის 18 888 456.45 ლარი დაიხარჯა.

განახლებული სპორტული დარბაზებით ისარგებლებენ 18 სკოლაში, რაშიც სამინისტრომ 1 440 000 ლარი გადაიხადა.

როგორც მინისტრი ამბობს, 2015 წლის დასრულებამდე 350-მდე საჯარო სკოლაში ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება. ამ ეტაპზე მიმდინარეა 284; ხოლო დაგეგმილია 70. ამისთვის სამინისტროს 28 421 194 ლარი აქვს გამოყოფილი. 2013-2015 წლიდან 10 სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა — ღირებულება 4 166 065 ლარს შეადგენს.

წელსვე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 20 საჯარო სკოლის პროექტირებას გეგმავს, რომელთაგან 6 სკოლის მშენებლობა წელს დაიწყება, სამუშაოებისთვის სამინისტრომ 85 203 970.00 ლარი გამოყო — ამ შემთხვევაში ბენეფიციართა რაოდენობა 5 672-ს შეადგენს.

— როგორ განისაზღვრება თუ რომელი სკოლა საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას, და რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება არ არის სასწრაფო?

„გარკვეული რანჟირების წესი არსებობს, სკოლები, რომლებიც დაზიანებულია, მაგრამ იქ სწავლა სიცოცხლისთვის საშიში არ არის და სკოლები, რომლებშიც სასწავლო პროცესის წარმოება სიცოცხლისთვის საშიშია. ასეთი სკოლები გადიან ექსპერტიზას, დგინდება ავარიულობის დონე, იწყება დემონტაჟი და ახლის მშენებლობა. კიდევ ერთი და ძალიან მძიმე მემკვიდრეობა რაც დაგვხვდა, ეს შიდა, სასკოლო ინფრასტრუქტურაა და პარალელურად მათი გამოცვლაც მიმდინარეობს. უბრალოდ, ყველაფრის ერთბაშად გაკეთება შეუძლებელია. როდესაც სკოლას რეაბილიტაციისთვის ვარჩევთ, ვითვალისწინებთ ბენეფიციართა რაოდენობას, იმას, თუ სად მდებარეობს, გეოგრაფიულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. სრული რეაბილიტაცია, ანუ კარ-ფანჯრების გამოცვლა, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, გათბობა, ელექტროგაყვანილობა — ეს შრომატევადი საქმეა, თუმცა ვფიქრობთ, რომ 2016-2017 სასწავლო წლისთვის ეს სამუშაოები საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა სკოლაში ჩატარებული იქნება," — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

გარდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი, სკოლების რეაბილიტაციის პროცესში ჩართულია აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის ფონდიც. 2015 წელს დაგეგმილია 30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სულ მეორე კომპაქტის ფარგლებში 100 სკოლის გარემონტება იგეგმება, რისთვისაც 54 მილიონი ლარია გამოყოფილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, საჯარო სკოლებში სწავლის დაწყების თარიღია. წელსაც სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება.

2015-16 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლაში 41 424 პირველკლასელი მივა, სწორედ ამდენმა გაიარა რეგისტრაცია ბოლო მონაცემებით.

როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებლები სწავლის დაწყების თარიღს ინდივიდუალურად ადგენენ და მათ შემთხვევაში თარიღები განსხვავებულია.

edu.aris.ge

2016 წლიდან მთაში პენსიონერების პენსია 20%-ით გაიზრდება

პარლამენტში რიგგარეშე სესიაზე მესამე მოსმენით მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონპროექტს კენჭი უყარეს. კანონპროექტის თანახმად მთის მოსახლეობა გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებს. მათ შორის იქნება პენსიონერებისთვის პენსიის 20%-ით გაზრდა, ასევე დანამატები მოსახლეობისთვის. იგეგმება საშემოსავლო გადასახადისგან მოსახლეობის გათავისუფლებაც. საერთო ჯამში, ამ მიზნით მომავალი წლის ბიუჯეტში დამატებით 60 მილიონი ლარი უნდა იყოს გამოყოფილი.

პარლამენტის წევრი დიმიტრი ხუნდაძე „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონის მიღებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მთიანი რეგიონების მოსახლეობას ძალიან უჭირს და 2016 წლის იანვრიდან ამ კანონის ამოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია.

„ბედნიერი ვარ, რომ ამ ხელისუფლების დროს მივიღეთ ეს კანონი, სრულყოფილი პაკეტი, რომელიც იქნება მთის გადარჩენის ერთ-ერთი საფუძველი. ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს 2/3-ს, მთიან რეგიონებს ძალიან უჭირს. სოფლები დაცლილია, ბევრი სახლი ურდულდადებულია, მოსახლეობა გადმომისამართებულია ქალაქში, მძლავრია შიდა მიგრაცია და დემოგრაფიული ანექსიის საფრთხეა. თუ არ ჩავსახლდებით ჩვენ, ჩასახლდებიან სხვები," — აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ.

პარლამენტის წევრმა პრემიერს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კანონპროექტის ინიციატორებს და მთის კანონი 2017 წლის ნაცვლად 2016 წელს ამოქმედდება.

„იმ ფონზე, როდესაც შობადობა დაბალია, განსაკუთრებით მთაში, ყოველი ახლადდაბადებული პირველი და მეორე, მიიღებს 100-ლარიან დახმარებას 1 წლის განმავლობაში, ხოლო მესამე და შემდგომი ბავშვი 200-ლარიან დახმარებას 2 წლის განმავლობაში. სახელფასო დანამატს მიიღებენ პედაგოგები, მასწავლებლებზე იქნება დანამატები, პენსიონრები კი მიიღებენ 20%-იან დანამატს. იმედი მაქვს, ამ ქმედებებით საქართველოს მთას გადავარჩენთ, რაც არის ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ტოლფასი," — განაცხადა ხუნდაძემ.

რა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აღდგება რეგიონებში

კულტურული მემკვიდრეობის ძ ეგლების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის 1 400000 ლარი გამოიყო.

აღნიშნული თანხა, 2015 წელს მიმდინარე პროექტების გარდა, დამატებით 13 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციას მოხმარდება. **მათ შორის განხორციელდება თიანეთის, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია;**

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდება შემდეგ ობიექტებზე:

- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი;
- ზუგდიდში, დადიანების სასახლეთა კომპლექსში, ნიკო დადიანის სასახლის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი;
- სოფელ დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში, შორეთის XIV-XV საუკუნეების სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი;

განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი შემდეგ ძეგლებზე:

- საფარის მთავარი ტაძრის და სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი;
- სოფელ ნაბახტევის XV საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი.

აღნიშნული თანხა ასევე მოხმარდება:

- აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-კვლევით სამუშაოებს;
- კვიპროსში, ღალიის სამონასტრო კომპლექსის ფიქსაციას, ინვენტარიზაციასა და პოპულარიზაციას;
- თისელის XIV-XV საუკუნეების გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოებს;
- გელათის აკადემიის შენობის მიმდებარედ აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტების დროებითი გადახურვის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასა და გენერალური გეგმის კორექტირების სამუშაოებს;
- ატენის სიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებს;
- თბილისში, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

კიევმა ქუთაისელი ფოტოგრაფების გამოფენას უმასპინძლა

უკრაინის დედაქალაქ კიევში „ჟულინის" საერთაშორისო აეროპორტში ფოტოგამოფენა სახელწოდებით, „საქართველო, ქუთაისი — უნდანახო!" გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილ 24 ფოტოზე ასახულია ქუთაისში და მის მახლობლად არსებული ღირსშესანიშნაობები. გამოფენა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა უკრაინული მედიისა და საზოგადოებისათვის. გამოფენის ორგანიზატორები არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, საქართველოს საელჩო უკრაინაში, კიევის „ჟულიანის" საერთაშორისო აეროპორტი, ავიაკომპანია YanAir და უკრაინის ტურიზმის განვითარების ცენტრი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ქუთაისელი ფოტოგრაფების: დავით მირზაშვილის, არჩილ გეგენავას და ლევან ლექვინაძის ნამუშევრები.

გამოფენა, საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში, მიხეილ უკლებამ, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დვალმა და მერის მოადგილემ კონსტანტინე ქვთარაძემ გახსნეს. ღონისძიებას ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბექა ყანჩელი, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი პაატა კლდიაშვილი, მოადგილე ირაკლი სარიშვილი, ავიაკომპანია YanAir-ის გენერალური დირექტორი იაროსლავ აგაფონოვი და „Мастер-Авиа"-ისგენერალური დირექტორი ალეკსეი იაკოვეცი დაესწრნენ.

„ქუთაისის თვითმმართველობის სახელით მადლიერებას გამოვხატავთ ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილე ყველა მხარის მიმართ და მზადყოფნას გამოვთქვამთ, მომავალშიც აქტიურად ჩავერთოთ ქალაქის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილ ყველა ეფექტურ პროექტში," — აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დვალმა.

„აწარმოე საქართველოში" — ჩანასახშივე მკვდარი სახელმწიფო ინიციატივა?!

აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირემეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების ფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5,000 ლარამდე 1 მეწარმე, 10,000 ლარამდე 2 მეწარმე, 15,000 ლარამდე 3 მეწარმე)."

ჩვენ დავინტერესდით ამ პროექტით. გამოკითხვა ჩავატარეთ სოციალურ ქსელსა და რეალურ აპლიკანტებში.

ნინო საღარეიშვილი (მცხოვრები ხონში) აცხადებს, რომ სამ ადამიანზე შეავსეს სააპლიკაციო ფორმა, მაგრამ არ გადაიყვანეს შემდეგ ტურში. 15 ათას ლარად სამი აპლიკანტი მესაქონლეობის ფერმის გაკეთებას აპირებდა.

მარიამ ხოჯანაშვილმა და მალხაზ გელაშვილმა (ჭიათურის მცხოვრებნი) მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეტაპზე გადავიდნენ, არ ისურვეს პროექტში ჩართვა, რადგან მათ ევალებათ მეწარმის სტატუსის აღება, ხოლო საგრანტო პროექტის ფინალამდე დიდი დრო გაივლის, თან გარანტიაც არ აქვთ, რომ მოიპოვებენ დაფინანსებას. მათი განცხადებით, დროის ფაქტორის გარდა, პრობლემაა ზაფხულზე დიდ მანძილზე ტრენინგებზე სიარული. საჩხერიდან რამდენიმე აპლიკანტმა დადებითი პასუხი ვერ მიიღო, მათი განცხადებით, კიდეც რომ მიეღოთ მეორე ტურში გადასვლის უფლება, მაინც იყოყმანებდნენ პროექტში ჩართვას.



ე.წ. სწრაფი და უფასო ფულის სურვილი დიდია, მაგრამ ასე თანხას არავინ იძლევა. როგორც გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, 5 ათასი ლარი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ საგადასახადო ვალდებულება აიღონ.

სკეპტიკოსთა განცხადება, რომელიც პროექტის დასაწყისშივე გაჟღერდა, ნაწილობრივ ასრულდა. ბევრმა ამ პროექტს ჩანასახშივე მკვდარი უწოდა.

როლანდ ხოჯანაშვილი

ჩინეთში ქართული ღვინის სახლი გაიხსნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ზაჯანგის პროვინციის ქალაქ იუს ცენტრალურ უბანში გახსნა ქართული ღვინის სახლი, სადაც მშრალი, ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოების ოცდაათამდე სახეობა იქნება წარმოდგენილი.

როგორც ოთარ დანელიამ ქართული ღვინის სახლის გახსნაზე განაცხადა, საქართველოდან ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციიდან, 93%-ს ღვინო შეადგენს. ჩინეთში ბოლო წლების მანძილზე 1 მლნ ლიტრამდე ღვინის ექსპორტი განხორციელდა. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. გამომდინარე იქიდან, რომ ღვინო ქართული კულტურის და ისტორიის ნაწილია, მნიშვნელოვანია, ჩინეთის ბაზარზე ღირსეულად იყოს წარმოდგენილი.

„ქართული ღვინო გამორჩეულია თავისი უნიკალურობით. საქართველოში იწარმოება 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და 1 გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტი ჭაჭა. ჩვენ შეგვიძლია ჩინელ მომხმარებელს თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინოების ფართო არჩევანი შევთავაზოთ. მისასალმებელია, რომ ჩინეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება. იმედი გვაქვს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო აქტიური გახდება," — განაცხადა **ოთარ დანელიამ.**

ქართული ღვინის სახლი ჩინელმა ბიზნესმენმა ჰია ოჯუნიმ გახსნა. იგი 13 წელია ჩინეთ-საქართველოს შორის ტვირთების გადაზიდვის ბიზნესით არის დაკავებული. როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, ქართული ღვინის სახლის გახსნა ქართული ღვინის უნიკალურობამ და გამორჩეულმა საგემოვნო თვისებებმა გადააწყვეტინა. ჰია ოჯუნიმ აღნიშნა, რომ ქართულ ღვინოს ჩინეთის ბაზარზე დამკვიდრების დიდი პოტენციალი გააჩნია.

ჩინელი ბიზნესმენი მომავალში ანალოგიური ტიპის ქართული ღვინის სახლების გახსნას ჩინეთის დიდ ქალაქებში — ხანჯოუ, ჯინჯოუ, ნიანჯოუსა და შანხაიში გეგმავს. ჰია ოჯუნი ქართული ღვინის მუზეუმის გახსნასაც აპირებს, სადაც თანამემამულეებს ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიას და კულტურას უკეთ გააცნობს.

ქართული ღვინის სახლის გახსნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ჩინელი ბიზნესმენები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე საქართველოდან ჩინეთში 100 ათასი ბოთლი ღვინის ექსპორტის განხორციელება იგეგმება. აგვისტოში ქართული ღვინის ექსპორტით დაინტერესებული 20-მდე ჩინელი ბიზნესმენი საქართველოში ჩამოვა და ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმდებიან.

ფულადი გზავნილები 2015 წლის პირველ ნახევარში 22.7%-ით შემცირდა

ეროვნული ბანკის მიერ 15 ივლისს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილები 2015 წლის პირველ ნახევარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 22.7%-ით შემცირდა 538.63 მლნ აშშ დოლარამდე.

ფულადმა გზავნილებმა რუსეთიდან, რომელიც ამ კუთხით შემოსავლის უმსხვილესი წყაროა, 41.1%-ით დაიკლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 2015 წლის პირველ ნახევარში 204.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მეორე უმსხვილესი წყაროდან, საბერძნეთიდან შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 19.3%-იანი კლება განიცადა, 2015 წლის პირველ ექვს თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 82.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ასევე წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამა წლის პირველ ნახევარში იტალიიდან გადმორიცხული თანხები 12.3%-ით შემცირდა 52.9 მლნ აშშ დოლარამდე; შემდეგ მოდის აშშ — 47.3 მლნ დოლარით (26.3%-იანი ზრდა); თურქეთი — 35.9 მლნ აშშ დოლარით (20.6%-იანი ზრდა); ისრაელი — 14.3 მლნ აშშ დოლარით (37.3%-იანი ზრდა); ესპანეთი — 12.3 მლნ აშშ დოლარით (10.3%-იანი კლება), გერმანია — 12.1 მლნ აშშ დოლარით (8.6%-იანი ზრდა); უკრაინა — 10 მლნ აშშ დოლარით (38.5%-იანი კლება).

2014 წელს ფულადი გზავნილების ოდენობა 2.45%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და 1.44 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მშპ-ს, დაახლოებით, 8.7%-ია.

ავიარეისები ქუთაისში კიევიდან, ხარკოვიდან და ოდესიდან შესრულდება

უკრაინის დედაქალაქ კიევში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ, შეხვედრა გამართა უკრაინული ავიაკომპანია „Yan Air"-ის გენერალურ დირექტორთან იაროსლავ აგაფონოვთან.

შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში უკრაინის სამი ქალაქიდან (კიევი, ხარკოვი, ოდესა) პირდაპირი ავიარეისების დანიშვნის შესახებ.

„Yan Air"-ის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ავიაკომპანია სრულად არის მზად ქუთაისის მიმართულებით ფრენების განსახორციელებლად. ქუთაისის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ აიღო პასუხისმგებლობა, თვითმმართველობამ შეასრულოს შუამავლის ფუნქცია ავიაკომპანია „Yan Air"-სა და საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას შორის ავიარეისების დანიშვნის მიზნით გასამართ მოლაპარაკებებში.

გაქვს იდეა ქუთაისის განვითარებისთვის?

„შენი იდეა ქუთაისის განვითარებისთვის" არის პროექტი, რომლის განხორციელება ქუთაისის მერიამ უკვე დაიწყო.

მიზანი: ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმაში გასათვალისწინებელად მოქალაქეებიდან წამოსული იდეების, სურვილების, წინადადებების, რეკომენდაციების სისტემატიზაცია და ანალიზი.

— მოქალაქეების ჩართულობის ზრდა და სამოქალაქო აქტივობის გაძლიერება თვითმმართველობის მუშაობაში;

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები:

— თვითმმართველობის მოხელეთა მიერ მოხდება ქუთაისის 12 ტერიტორიული ორგანოს მიხედვით მოქალაქეთა პირისპირ გამოკითხვა — ანკეტირება მათი იდეების, სურვილების, წინადადებებისა და რეკომენდაციების დადგენის მიზნით.

— მოქალაქეებს საშუალება ექნებათ ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმირებისათვის საკუთარი იდეები, წინადადებები, სურვილები და რეკომენდაციები წარადგინოს შემდეგი სახით: პირისპირ ანკეტირების დროს, საამისოდ არსებულ გადასატან ყუთებში მოთავსებით;

ინტერნეტის საშუალებით web კითხვარით ტერიტორიულ ორგანოებში ადგილებზე წარდგენით ქუთაისის მერიის I სართულზე ტურიზმის საერთაშორისო ცენტრში წარდგენით, 22 ივლისს 12 სთ-ზე აკ. წერეთლის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სამოქალაქო ფორუმზე.

— ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს სამოქალაქო ფორუმის შედეგების სისტემატიზაციას და ანალიზს, რომლის საფუძველზეც მომზადებული პროექტები გათვალისწინებული იქნება ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

— განხორციელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია ადგილობრივი და ცენტრალური მედიის საშუალებით.

პროექტს ახორციელებს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია;

ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური;

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური ტერიტორიულ ორგანოებში მერის რწმუნებულებთან ერთობლივად.

ჭყვიშში ტაბიძეების სახლ-მუზეუმი რეკონსტრუქციის მოლოდინშია

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი რეკონსტრუქციას საჭიროებს. შელახულია დარბაზის კედლები და ჭერი. თუმცა, როგორც მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ფერიდა მატარაძე აცხადებს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უკვე განიხილა ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების სახლ-მუზეუმების მიერ შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები.

2016 წლისთვის მუზეუმი ემზადება გალაკტიონის დაბადებიდან 125 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, ქალბატონი ფერიდას თქმით, მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი მომავალი წლისთვის განახლებული (რესტავრირებული) იქნება. 2016 წლისთვის დაგეგმილია ასევე მუზეუმის წინ არსებული დედაბოძის რესტავრაცია. საექსპოზიციო დარბაზის გამოფენის დიზაინის ახლებური კონცეფციის შემუშავება კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ჭყვიშის ტაბიძეების სახლ-მუზეუმში დგას პოეტების ორ განუყოფელ ეზოში ჩადგმული ორსაუკუნოვანი მემორიალური სახლები. ასევე, 1973 და 1985 წლებში გახსნილი საექსპოზიციო დარბაზები. მუზეუმის უპირველესი ხიბლი სწორედ გამწვანებული ეზოა მემორიალური ასწლოვანი ხეებით, რომელსაც ინფრასტრუქტურის შემდგომი ეფექტური განვითარებისთვის სჭირდება სრულყოფილი შეღობვა-დაცვა. რაც უცილობელი გარანტი იქნება მომვლელ-დამთვალიერებელთა სიმრავლის.

მანანა ლეშკაშელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს მისო „იმერკრედიტი"-ს დამფუძნებლებს

საერთაშორისო-აუდიტორული ფირმა
შპს კონსაუდი
380054 თბილისი, წერეთლის გამზ. № 61
ტელ/ფაქსი: (+99532) 235-01-57, 235-67-56, 235-43-97
599 567-842, 599 280-406, 599 194-977

Auditing and Consulting Company
CONSAUDI Ltd
61Tsereteli ave. Tbilisi, Georgia 380054
phone/fax:(+99532) 235-01-57, 235-67-56, 235-43-9
599 567-842, 599 280-406, 599 194-977

№ დ - 14 27.06.2015 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მისო "იმერკრედიტი"-ს დამფუძნებლებს

ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმენება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვაქვრა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო დასაბუთებული საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიუხედავად იმისა, რომ საალიზინგო ვალდებულება შესაფერისად არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კომპანიას 2011-2014 წლებში მიმდინარე გადასახადების ხარჯის დადგენის მიზნით ერთობლივი შემოსავლებიდან არ აქვს გამოქვითული მიმდინარე საოჯარო გადასახდელების ის ნაწილი, რომლითაც დაიფარა აღნიშნული პერიოდის საალიზინგო ვალდებულები. გამოსაქვითი თანხების გათვალისწინებით 2014 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯი უნდა ეღიარებინა 146,8 ათასი ლარი, ხოლო წინა წლების შედეგებიდან გამომდინარე 9,9 ათასი ლარით გაეზარდა გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2013 წლის ბოლოს მდგომარეობით. 2014 წლის 31 დეკემბრისათვის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი გაიზრდებოდა 14,8 ათასი ლარით და შემცირდებოდა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს "კონსაუდი"
აუდიტორი
კ. დათიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2014	31.12.2013
		ლარი	ლარი
აქტივები			
ფულადი სახსრები და ეквივალენტები	1	32,081	61,241
გაცემული სესხები:	2		
– ძირი		1,010,785	1,343,595
– დარიცხული პროცენტი		186,480	111,445
ძირითადი საშუალებები	3	228,063	254,160
არამატერიალური აქტივები	4	2,046	3,083
საგადასახადო მოთხოვნები	5	11,102	316
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6	100,350	37,219
სხვა მოთხოვნები	7	17,831	10,048
სულ აქტივები		**1,588,737**	**1,821,107**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები:			
– ძირი	8	869,336	875,977
– დარიცხული პროცენტი		4,115	8,094
საგადასახადო ვალდებულებები	9	375	9,670
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	112,123	144,952
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	34,127	36,001
სხვა ვალდებულებები	12	223	4,179
სულ ვალდებულებები		**1,020,300**	**1,078,874**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		302,000	302,000
აკუმულირებული მოგება/ზარალი		390,234	201,181
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(123,798)	239,052
სულ კაპიტალი		**568,437**	**742,233**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,588,737**	**1,821,107**
		0	0

დირექტორი:
მთ.ბუღალტერი:

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
31.12.2012 ნაშთი	**302,000**	**351,181**	**653,181**
დივიდენდი	0	(150,000)	**(150,000)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0.00	230,819	**230,819**
31.12.2013 ნაშთი	**302,000**	**432,000**	**734,000**
გასული პერიოდის ცვლილება	0.00	8,233	**8,233**
31.12.2013 ნაშთი	**302,000**	**440,233**	**742,233**
დივიდენდი	0	(50,000)	**-50,000**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0.00	(123,798)	**(123,798)**
31.12.2014 ნაშთი	**302,000**	**266,437**	**568,437**

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		2014 წ.	2013 წ.
		ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი		538,389	609,551
საპროცენტო ხარჯი		(118,096)	(150,416)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	13	**420,293**	**459,135**
სესხის გაუფასურების ანარიცხი		(419,540)	(57,504)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**754**	**401,631**
საკომისიო შემოსავალი		17,814	42,525
ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული წმინდა მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით		**18,568**	**444,156**
ჯერსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება-ზარალი		53,461	55,598
სხვა შემოსავალი	14	14,551	28,049
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(164,307)	(166,538)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(28,369)	(27,428)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(37,020)	(47,790)
მოგება დაბეგვრამდე		**(143,117)**	**286,047**
მოგების გადასახადის ხარჯი	16	19,319	(46,995)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		**(123,798)**	**239,052**

დირექტორი:
მთ.ბუღალტერი:

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით	12/31/2014		12/31/2013	
	ლარი		ლარი	
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან				
საოპ. საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,847,807		2,206,891	
სხვა შემოსულობები	36,136		66,570	
სესხების გაცემა	(1,383,494)		(1,818,634)	
შემოსულობანი ფინანსური ინსტრუმენტებიდან	**500,449**		**454,827**	
მოწოდებულებზე გადახდილი ფული	(55,294)		(87,501)	
პერსონალზე გაცემული ფულადი სახსრები	(127,716)		(130,340)	
გადახდილი გადასახადები	(105,945)		(48,060)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**211,494**		**188,926**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირ/საშუალებების და არამატერიალების შეძენა	(1,235)		(143)	
ლიზინგის მოშსახურების დანახარჯი	(42,840)		(39,270)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(44,075)**		**(39,413)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან				
მიღებული სესხები	661,094		726,007	
სესხის ძირის დაფარვა	(700,562)		(396,174)	
სესხის პროცენტის დაფარვა	(108,089)		(285,840)	
გადახდილი დივიდენდი	(47,500)		(142,500)	
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1,236		608	
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(2,758)		(2,387)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**(196,579)**		**(100,286)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/კლება		**(29,160)**		**49,227**
ფულადი სახსრების და ეквივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის	**61,241**		**12,014**	
ფულადი სახსრების და ეквივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		**32,081**		**61,241**

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა არ იქნება ადვილი ამოცანა თქვენთვის. ყველა კარგის მოსურნე არ არის, მოგიწევთ მოთმენა.

კურო: თუ შემოქმედებით მუშაობას დაიწყებთ, დიდ წარმატებას მიაღწევთ. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ გარეგნობას. კარგი იქნება, თუ იმიჯს შეიცვლით. სიყვარულშიც გიმართლებთ.

ტყუპები: გექნებათ დაძაბული ურთიერთობა ახლობელ ადამიანებთან. საქმიან სფეროში გაიზრდება თქვენი ინტერესი პარტნიორის წარმატებების მიმართ. მის მოქმედებაზე და უმოქმედობაზე დამოკიდებული იქნება აბსოლუტურად ყველაფერი. თქვენ მწარედ განიცდით საკუთარ უმოქმედობას და სხვაზე დამოკიდებულებას, მაგრამ ვარსკვლავები არ გაძლევენ კარდინალურად შეცვლის საშუალებას.

კირჩხიბი: იფიქრეთ დამატებითი შემოსავლის წყაროებზე. კარგი იქნება, თუ ახალ სამსახურსაც იშოვით. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. საშუალება მოგეცემათ, კოლეგებში ავტორიტეტი აიმაღლოთ.

ლომი: კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობაზე სერიოზულად იზრუნებთ და შეეცდებით, სწორად იკვებოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ავად გახდეთ და თქვენი გეგმები ვეღარ განახორციელოთ. რაც ძალზე დასანანი იქნება.

ქალწული: იდეალურია დასვენება. თუ სამუშაო რეჟიმი დასვენების საშუალებას არ გაძლევთ, მაშინ ეცადეთ, მეგობრების გარემოცვაში დაისვენოთ. ღამის კლუბები და დისკოტეკები იდეალურია.

სასწორი: თქვენთვის სასურველი ცვლილებები შორს აღარაა. ნაბიჯ-ნაბიჯ შეუპოვრად იარეთ მიზნისაკენ. თქვენს ირგვლივ გაბატონებული სინათლე და გარკვეულობა მხოლოდ სიკეთეს მოგიტანთ იმ შემთხვევაში, თუ მიზნისაკენ სწორ გზას აირჩევთ.

მორიელი: მთავარ ადგილზე სიყვარული იქნება. გელით რომანტიკული თავგადასავალი. საქმიან შეხვედრებზე მაქსიმალურად მობილიზებული იყავით. კვირის ბოლოს სასიამოვნო პიკნიკი გელოდებათ — მეგობრებთან ერთად გაატარებთ დროს ქალაქგარეთ.

მშვილდოსანი: წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. თქვენთვის მნიშვნელოვან კონტრაქტებს გააფორმებთ. საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც ადვილად მოხვდებით. თქვენ მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ყურადღება მიაქციეთ, რადგან ყოველი არასწორი გამონათქვამი, ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. პირად ცხოვრებაში კი კონფლიქტებია მოსალოდნელი.

თხის რქა: ავტორიტეტის გამყარებასა და ცოდნის გაღრმავებას დაუთმეთ დრო. ბოლომდე მიიყვანეთ ადრე დაწყებული საქმეები. ახალი წამოწყებისაგან თავი შეიკავეთ.

მერწყული: თქვენ იქნებით თავდაჯერებული, ორგანიზებული. შეძლებთ შეასრულოთ დიდი სამუშაო. რაიმე საქმის გადაწყვეტისას, გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტებთან და ისე მიიღეთ გადაწყვეტილება. საღამო გაატარეთ ოჯახის წევრებთან ერთად.

თევზები: ხელმძღვანელის სკამის და კოსტუმის მორგება დაიწყეთ, ის თქვენ ძალიან მოგიხდებათ. დიდია ალბათობა, რომ სულ ცოტა ხანში დაგაწიანურებენ. მთავარია, მოთმინება გამოიჩინოთ. ადამიანი, რომელსაც ელოდებით, კვირის ბოლოს გამოჩნდება და სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. ასევე გაკვირვებული დარჩებით იმ საჩუქრით, რომელსაც მისგან მიიღებთ.

1000 ლარის გამო ჩაშლილი ტურნირი საჩხერეში

გავრცელებული ინფორმაციით დაპირისპირება მოხდა საჩხერის სპორტსკოლის დირექტორ მამუკა გაფრინდაშვილსა და საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელ მალხაზ ბაზაძეს შორის. შევეცადეთ, გაგვერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ეს ინფორმაცია სიმართლეს. ამისათვის გავესაუბრეთ საჩხერის სპორტსკოლის დირექტორს, რომელმაც აღნიშნული ფაქტი დაგვიდასტურა.

„P.S. ფოტო" ©

მამუკა გაფრინდაშვილი

როგორც ირკვევა, მამუკა გაფრინდაშვილმა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ძიუდოში ბესიკ ქუთათელაძის სახელობის ტურნირის ჩასატარებლად, ბიუჯეტიდან მცირედი ფინანსური დახმარება, დაახლოებით, 1000 ლარის გამოყოფა სთხოვა. როგორც გაფრინდაშვილი აცხადებს, დანარჩენი თანხის მოძიებას საკუთარი სახსრებით აპირებდა (მიუხედავად იმისა, რომ დირექტორის ხელფასი მხოლოდ 444 ლარს შეადგენს).

ბაზაძისა და გაფრინდაშვილის საუბრის შემდეგ, 12 ივნისს მამუკა გაფრინდაშვილმა წერილით მიმართა მუნიციპალიტეტს, რამდენიმე დღეში შეიტყო, რომ მუნიციპალიტეტი არ აპირებდა ბესიკ ქუთათელაძის ტურნირის დაფინანსებას. ამ დროისთვის კი გაფრინდაშვილს უკვე მოწვეული ჰყავდა ტურნირისთვის 14 გუნდი არამარტო საქართველოდან, არამედ საზღვარგარეთიდან (აზერბაიჯანიდან).

მიუხედავად იმისა, რომ სპორტსკოლის დირექტორს დადებითი პასუხის დიდი იმედი ჰქონდა, საჩხერის გამოგეობამ მისი თხოვნის წერილს უარით უპასუხა, შესაბამისად, ძიუდოს ტურნირი საჩხერეში, ალბათ, ვეღარ ჩატარდება.

მამუკა გაფრინდაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ეს ფაქტი მისთვის სამწუხაროა. გარდა ამისა, მისი თქმით, მას ცილს სწამებენ, რომ იგი უკანონო აუდიოჩანაწერებს ახორციელებდა.

დირექტორის განცხადებით, საჩხერის სპორტსკოლას კიდევ აქვს სხვა პრობლემებიც, რომელზეც, ჯერჯერობით, მუნიციპალიტეტს რეაგირება არ მოუხდენია, მაგალითად: სპორტსკოლას ესაჭიროება სარესტავრაციო სამუშაოები, რაზეც თხოვნით არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტს და პასუხს დღემდე ელოდება.

ჩვენთან საუბრისას მამუკა გაფრინდაშვილმა ახსენა საჩხერის ძალოსნები, რომელთაც სავარჯიშო დარბაზი საერთოდ არ აქვთ და შეხიზნულები არიან ერთ-ერთ სასადილოში, სადაც მათ არასათანადო პირობებში უწევთ ვარჯიში.

ჩვენ დავუკავშირდით საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელმაც სპორტსკოლის დირექციასთან დაპირისპირება გამორიცხა და აღნიშნა, რომ 1000 ლარი ორგანიზატორმა მოითხოვა სარესტორნო მომსახურებისთვის, რაც არ ჩათვალეს მიზანშეწონილად. როგორც გამგებელი აცხადებს, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აღნიშნული ღონისძიების მასშტაბურად გამართვას 2016 წელს გეგმავს.

ირაკლი ტაბატაძე

სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირზე ქუთაისელმა მონაწილეებმა 5 ოქროს მედალი მოიპოვეს

ბათუმში გამართული სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირზე ქუთაისელმა მონაწილეებმა 5 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ევროპულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებში შეჯიბრება ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. უფროსი ასაკის სოლო შემსრულებლებს შორის წარმატება მოიპოვა ქუთაისელმა **ბარბარე სვანაძემ**. ხოლო პატარებში — **გვანცა ჯანელიძემ** და **მარი ბრეგაძემ**.

წყვილს შორის უფროსი ასაკის კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს — **ინა უგლავამ** და **გიორგი მუშკუდიანმა,** პატარებს შორის კი — **ლუკა შალამბერიძემ** და **ანი გულოიანმა.**

საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს 16 ქვეყნის 1200-მდე უძლიერესმა მოცეკვავემ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულები სტუდია „ელიტას" მოცეკვავეები არიან. სტუდიას ანა და ხათუნა ბუხაიძეები ხელმძღვანელობენ.

ქუთაისის მერიამ ქალაქის ტურისტულ ლოგოსა და სლოგანზე კონკურსი გამოაცხადა

ქუთაისში ქალაქის ტურისტულ ლოგოსა და სლოგანზე კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის მონაწილეთა შესაფასებლად ქალაქის მერმა დროებითი კომისია შექმნა, რომლის თავმჯდომარე თავად გახლავთ.

ქალაქ ქუთაისის, როგორც ტურისტული ბრენდის ჩამოყალიბებისათვის, უმნიშვნელოვანესია ქალაქს ჰქონდეს ტურისტული ლოგო და სლოგანი.

ლოგო და სლოგანი უნდა წარმოადგენდეს უნიკალურ ნიშანს, რომელიც საზოგადოებას დაეხმარება, მოახდინოს ქალაქ ქუთაისის იდენტიფიცირება და ტურისტული ცნობადობის გაზრდა.

კომისიის შემადგენლობაში არიან:

კონსტანტინე ქავთარაძე — ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, პანტელეიმონ კლდიაშვილი — მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ვაჟა ჯუღელი — კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირაკლი სარიშვილი — ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, პაატა ლილუაშვილი — ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, მირანდა კუპრავა — კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი, ელისო ჩოგოვაძე — დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნის გიორგი შალამბერიძე — პოეტი და მსახიობი, თეონა ნანავა — საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ბრენდის განვითარების სამმართველოს თანამშრომელი, ანა შავგულიძე — ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ტურიზმის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

კონკურსისათვის ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადა 25 აგვისტოა, ხოლო დროებითი კომისია გამარჯვებულს ნამუშევრების წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში გამოავლენს.

განცხადება

2015 წლის 24 სექტემბერს, 12 საათზე, სს ეს-ემ-ქეიულულსარარასი ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალის ოფისში (მის. ქუთაისი, ა. სინაურის ქ.№1), გაიმართება ასფალტის ქარხნის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— სს ეს-ემ-ქეიულულსარარასი ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ოფისში, ქ. ქუთაისი, ანდრია სინაურის ქ. №1, ტელ: 593 540 322;

— შპს „სამნი"-ს ოფისში, ქუთაისი, გ. ტაბიძის 28, ტელ: 591 157 272.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ფოტოვიქტორინაზე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი **თამარ ებანოიძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

დავით უსუფაშვილი

ნოდარ ხადური

მიდის ხადური, მიუხარია.
„ლარი რომ გარბის, ჩემი
ბრალია?"

თაკო გაფრინდაშვილი

კროსვორდი



თარაზულად: 3. აფრიკის უდიდესი ქვეყანა მოსახლეობით. 5. ხორთუმიანი ცხოველი. 6. ბოლოსწინა ბერძნული ასო. 8. გაფრთხილება ძიუდოში. 9. მცენარეთა სამყარო. 11. მისი დედაქალაქია კინგზტონი.

შვეულად: 1. პიპინიას ვაჟი. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. მზიდან მერვე პლანეტა. 4. მისი დედაქალაქია ვენა. 7.... პრესლი. 10. სირაქლემას სახეობა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. არიადნე. 5. მავრი. 6. აგა. 8. უთო. 9. კროლი. 11. ალფარდი.
შვეულად: 1. ნიორი. 2. ადა. 3. ამალთეა. 4. ენგელსი. 7. ორერა. 10. იფი.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

			1	9				4
				5		1	8	2
1	6	4						
					4	8	9	5
		7	3		5	2		
2	8	5	6					
						7	3	9
9	4	8		6				
5				2	1			

იმპერატორის ხელისმოწერით დაწყებული ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ისტორია, რომელიც ბონდის ხიდით უნდა გაგრძელდეს...

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დირექციას და თანამშრომლებს სამუშაო (და არასამუშაო) საათებში იშვიათად თუ ნახავთ კაბინეტებსა და, ზოგადად, შენობაში.
აქ ახლა ყველა ხელებდაკაპიწებული შრომობს, რათა ოცნებები და მიზნები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ რეალობად აქციონ.

„P.S. ფოტო" ©
ამირან ხვადაგიანი

„P.S. ფოტო" ©
ბორის თვალოძე

რამდენიმე დღის წინ, ბაღში ერთი ახალგაზრდა კაცი შემოსულა. გულდაგულ მოუვლია ყველა კუთხე-კუჭული, ბოლოს ჭასთან მსხდომ თანამშრომლებთან მისულა და ბატონი ბორის თვალოძისთვის მორიდებით უკითხავს, თუ მიცანითო. იქვე დაუმატებია, რაღას მიცნობთ, თითქმის 20 წელია გასული იმ დღიდან, როცა აქ 16-17 წლის ბიჭები შეშის მოსაპოვებლად ვიპარებოდით, რათა ზამთარში ოჯახის წევრები, აქვე, სასტუმროში, სადაც დევნილები ვიყავით ჩასახლებული, გაყინვისგან გვეხსნაო.

რამდენი ასეთი ყმაწვილისა თუ მოზრდილის ავი ზრახვებისგან გადაურჩენიათ იმ წლებში ბოტანიკური ბაღის მცველებს თუ მეცნიერ-მუშაკებს უამრავი ხე და ბუჩქი.

— 20 წელია აქ არ ვყოფილვარ, რაც ვნახე, თვალებს არ ვუჯერებო — უთქვამს იმ ახალგაზრდას — ახლა რომ აქ ვინმემ მოჭრას კი არა, ხეზე ტოტის მოტეხა დაგაპიროს, ჩემი ხელით დავიჭერო.

ეს, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა იმ შრომისა, რაც ბოლო 3 წლის მანძილზე ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, დირექტორის, ბატონი **ამირან ხვადაგიანის** ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

დიდი და რთული გზა გამოიარა ბაღმა, სანამ ამ ახალ სიცოცხლეს დაიწყებდა.

ყველაფერი კი თითქმის 200 წლის წინ დაიწყო, როცა 1850-იან წლებში, რუსეთის იმპერატორის ნებართვით გადაწყდა, რომ ქუთაისში, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, კერძო პირებისგან შესყიდულ საკმაოდ დიდ მიწის ფართობზე სახაზინო ბაღი გაშენებულიყო, რომლის უპირველესი მიზანი იქნებოდა ახლო-მახლო მაზრების მკვიდრი გლეხებისთვის მცენარეთა ახალი ჯიშების მიწოდება და მათთვის ერთგვარი კონსულტაციების გაწევა, ამისთვის, დაარსებიდან მეორე წელსვე, აქ გახსნილა მებაღეობის ორწლიანი სკოლა, სადაც შემდგომში ბევრი ცნობილი ადამიანი დაუფლებია აგრონომიის საფუძვლებს. ამის გამო მას „ფერმის ბაღსაც" უწოდებდნენ.

ბაღი დაუპროექტებია იმ პერიოდის სახელოვან ფრანგ მებაღეს, რეგნერს და დღემდე რჩება ერთ-ერთი საუკეთესო პროექტის მქონე ბოტანიკურ ბაღად საბაღო-საპარკო ხელოვნების ნიმუშად. რეგნერს ამ ტერიტორიაზე დახვედრია 400-500 წლოვანი მუხები, ჭადრები, ძელქვები და მან ეს ხეები გამოიყენა ბაღის ბაზად. დღეს ამ მონაკვეთზე ბოტანიკური ბაღის ისტორიულ, ანუ ძველი უბანია.

8 წლის მუშაობის შემდეგ, რეგნერს დაუტოვებია ქუთაისი, მხოლოდ-დამხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი ანაზღაურება აქ ძალიან მწირი ყოფილა (როგორც ჩანს, ეს უფინანსობის თემა ერთგვარად დაებედა ამ ბაღს, რადგან აქ წლების მანძილზე მინიმალური ანაზღაურებით ან სულაც, თვეების მანძილზე უხელფასოდ მუშაობდნენ თანამშრომლები).

ამის შემდეგ, საქართველოს მთავარმმართებლის მოწვევით, ბაღს სათავეში უდგება ცნობილი შოტლანდიელი მებაღე იაკობ მარი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ბევრი ახალი ჯიშის ხე-მცენარის შემოტანა საქართველოში, მათ შორის ვაზის ერთ-ერთი პოპულარული ჯიშის — იზაბელას დამკვიდრება, რომელიც მან ოდესიდან ჩამოიტანა პირველად გურიაში და სადაც მას დღემდე „ადესად" იხსენიებენ.

იაკობ მარი ოჯახიანად ცხოვრობდა ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დირექციისთვის განკუთვნილ შენობაში და აქვე დაიბადა მისი ნაბოლარა შვილი, ცნობილი მკვლევარი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მარი.

იაკობ მარის გურიაში დაბრუნების შემდეგ, ბაღი მმართველობაში გადაეცა გუბერნიის პოლიციას და ამის შემდეგ უკან წავიდა საქმე — უსახსრობის გამო აქ თითქმის შეწყდა ყველანაირი სამუშაოები.

თუმცა, ეს იყო დიდი ცვლილების ეპოქა — შეიცვალა ფორმაცია, მთავრობები და 1969 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და გახდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ფილიალი. იმ პერიოდში 200 სახეობის მცენარეღა ყოფილა შემორჩენილი.

აქ დაიწყო ფართომასშტაბიანი სამეცნიერო, კვლევითი სამუშაოები. ამავე დროს, მას ათეულ ათასობით სტუმარი სტუმრობდა, მაშინდელი საბჭოთა კავშირის, თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაღის განაშენიანებული ფართობიც. შეიქმნა ახალი განყოფილებები — აღმოსავლეთ აზიის განყოფილება, ჩრდილო ამერიკის და ხმელთაშუა ზღვის განყოფილება. დღეისთვის აქ 800-ზე მეტი სახეობის მცენარე შეგიძლიათ ნახოთ.

ჩემი მეგზური (უკვე მერამდენედ) ბატონი **ბორის თვალოძეა,** წლების მანძილზე ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ახლა კი დირექტორის მოადგილე, რომელიც გულწრფელი აღფრთოვანებით მიყვება იმ სიახლეებზე, რაც აქ ბატონი ამირან ხვადაგიანის მოსვლის შემდგე დაიწყო. თითქოს უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ მაინც ბევრ რამეზე მეტყველებს ერთი პატარა დეტალიც — ბატონი ბორისი დღემდე თავის (ანუ დირექტორის) კაბინეტში აგრძელებს მუშაობას.

ცდილობს, ყველა ხის, ბუჩქის, ბალახის ამბავი მომიყვეს. მათზე ისე საუბრობს, როგორც ცოცხალ არსებებზე და ვამჩნევ, როგორ უხარია ის ფაქტიც, რომ ბევრ მცენარეს ვცნობ.

იმაზე საუბრით აღარ შევაწყენთ მკითხველს თავს, ბოლო 20 წლის მანძილზე რამდენჯერ გადავიდა სამინისტოდან სამინისტოს, უწყებიდან- უწყების ხელში ბოტანკური ბაღი. საბოლოოდ კი, ბაღი გადაეცა ქუთაისის თვითმმართველობას და ქალაქის მერიამ თავის თავზე აიღო ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობა. საკრებულოს, რომელმაც ეს დადგენილება მიიღო, ბატონი ამირან ხვადაგიანი ხელმძღვანელობად და მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სამიოდე წლის შემდეგ ერთპიროვნულად იქნებოდა პასუხისმგებელი და მზრუნველი აქაურობის თითოეულ კენჭზეც კი.

***

ბატონი ამირანი მებაღეებთან ერთად ბაღის შესასვლელში გველოდებოდა. საუბარიც აქვე განვაგრძეთ:

— ბატონო ამირან, იქნებ მოკლედ გვიამბოთ იმ სიახლეებზე, რაც ახლახანს საკუთარი თვალით ვიხილე...

— გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით, 4 წლის წინ, ჩვენ, ყველამ ერთად ქუთაისის ბოტანკური ბაღის ახალ სიცოცხლეს ჩავუყარეთ საფუძველი. ყმაწვილკაცობაში კი ვყოფილვარ აქ ბევრჯერ, მაგრამ, როცა პირველად მოვედი საკრებულოს თავმჯდომარის რანგში, გული დამწყდა, რომ ბაღი სავალალო მდგომარეობაში იყო. იმ დღიდანვე დავიწყეთ ზრუნვა, რომ რაღაც გვეშველა ამ ისტორიულ-კულტურული ძეგლისთვის და პირველი დახმარება რაც იყო, 10 ათასი ლარი გამოვუყავით.

ყოველგვარი დაფინანსების გარეშე დარჩენილი ბაღი, ხანგრძლივი და რთული პროცედურების შემდეგ, გადავეცით ქუთაისის მერიას. 2 წელი დასჭირდა ამ პრობლემის მოგვარებას.

2013 წლის 1 იანვრიდან ქუთაისის ბოტანიკური ბაღი დამოუკიდებელი აიპია. ამავე წლიდან ვიწყებ მე აქ მუშაობას დირექტორის რანგში.

— რა გააკეთეთ პირველად აქ მოსვლისას?

— პირველად დავდგით დიდი ქვის გული, სიმბოლურად, რომ სიყვარული ყოფილიყო ბაღის დამთვალიერებლების მასპინძელი. მალევე სიყვარულის წყარო და ხეივანიც გავაკეთეთ და ჩვენთან სტუმრიანობის გახშირების პირველი ეტაპი სწორედ ამ სიმბოლოებს უკავშირდება. ამით დაიწყო ის თავდაუზოგავი შრომა, რაც დღემდე არ დასრულებულა და, ალბათ, არც არასდროს დასრულდება.

ჩვენი არცთუ დიდი ბიუჯეტით (შედარებისთვის — ჩვენი ბიუჯეტია 330 ათასი ლარი, მაშინ, როცა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტი 3 მილიონი 700 ათასი ლარია), ჩვენი თანაქალაქელების, მეგობრებისა და კეთილისმსურველების დახმარებით, ერთდროულად დავიწყეთ რამდენიმე პროექტზე მუშაობა — დავაგეთ ბილიკები, მოვაწესრიგეთ განათება, დავიწყეთ ნიკო მარის მუზეუმის გასახსნელად მზადება, რისთვისაც გავარემონტეთ ის ისტორიული შენობა (ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტით, 250 ათასი ლარის ღირებულების) და მოვიძიეთ სამუზეუმო მასალები.

ჩავდგით ფანჩატურები, ვიზიტორთა სახლი, მოვაწყვეთ აუზი, შადრევანი.

ჩემი ოცნება იყო, გამეკეთებინა აქ ამფითეატრი. დიდხანს ვარჩიეთ ადგილი და ბოლოს საკმაოდ წარმატებულად შერჩეული იქნა ის ადგილი, სადაც ახლა არის ამფითეატრი, ასწლოვან ძელქვებს შორის. ვინც უნდა შემედავოს, ყველას დავუმტკიცებ, რომ ეს 200-კაციანი ამფითეატრი მსოფლიოს უდიდეს ამფითეატრსაც კი გაუწევს მეტოქეობას, თავისი განსაკუთრებული აურით.

სულ ვფიქრობდი, კიდევ რა უნდა გამეკეთებინა ორიგინალური და იდეისკენ თავად ხემ მიბიძგა — ასწლოვანმა მუხამ, რომელსაც დიდი ფუღურო ჰქონდა. ჩვენ აქ სამლოცველო მოვაწყვეთ, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს — მუხას ხომ ქართულ სინამდვილეში უდიდესი სიმბოლური დატვირთვა აქვს.

ჩვენი ბაღის უძველესი მკვიდრის, მარადმწვანე სექვოიას გარშემოც განსაკუთრებული გარემო შევქმენით.

ჩემი აქ მოსვლის პირველი დღეებიდანვე დავიწყე ზრუნვა როზარიუმის, ანუ ვარდნარის გასაშენებლად. შევიძინეთ 1000 ძირი ულამაზესი და უნიკალური ვარდის ძირი, ყველა გავახარეთ და ახლა ეს კუთხე ჩვენი ბაღის თვალწარმტაცი ადგილია.

აღვადგინეთ ერთი ორანჟერეა და გვინდა აღვადგინოთ მეორეც — ხე მცენარეების ნერგების გამოსაყვანად.

მომდევნო ეტაპზე დავიწყეთ იმერული ოდის და ეზო-გარემოს მოწყობა. ეს არის შესანიშნავი ეთნოგრაფიული კუთხე, რომლის მოწყობაში იმერული ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთებით უანგაროდ გვეხმარება მოსახლეობა. ჩვენი მიზანია, აქ მოსულმა სტუმრებმა და განსაკუთრებით უცხოელებმა ნახონ ჩვენი ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთები, გარემო.

ქუთაისში რამდენჯერმე ჩატარებული მოქანდაკეთა პლენერის შედეგად შექმნილი ქანდაკებები, რომლებიც უხეშად რომ ვთქვათ, ეყარა უთავბოლოდ, მოვიტანე აქ და ისინი ორგანულად ჩაჯდა ამ გარემოში.

ამ ყველაფრის შედეგი არის ვიზიტორთა თვალშისაცემად გამრავლებული რაოდენობა. ყალიბდება ახალი ტრადიციაც — ჩვენთან ხშირად მოდიან ახალდაქორწინებულები. მხოლოდ გასულ კვირაში 30 სიძე-პატარძალი გვესტუმრა, თავის მაყრიონიანად. და მოდიან არამხოლოდ ქუთაისიდან, არამედ სამეგრელოდან, გურიიდან, იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან, რათა ყველაზე ბედნიერი დღე მათ ცხოვრებაში ჩვენს ბაღში გადაღებული კადრებითაც გაალამაზონ.

— როგორც ვატყობ, თქვენ ამაზე არ გაჩერდებით...

— მართალი ბრძანდებით, უამრავი იდეა გვაქვს კიდევ განსახორციელებელი, დაწყებული გვაქვს მუშაობა პროექტზე, რომლის მიხედვითაც, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ბონდის ხიდით დაუკავშირდება რიონის მარცხენა სანაპიროს და ქალაქის ცენტრს, ეს იქნება როგორც ეგზოტიკური, ასევე ექსტრემალური ხასიათის პროექტი და მჯერა, რომ ისევ დაგვიდგება გვერდით როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა, ასევე ჩვენი კეთილისმსურველები. პროექტის მაკეტი რომ ნახა, ერთმა ჩვენმა თანაქალაქელმა ისიც კი თქვა — ეს ადგილი, ეიფელის კოშკივით, ქუთაისის სიმბოლოდ იქცევაო.

დირექტორი მაცნობს ბაღის უხუცეს თანამშროლემს, 75 წლის **თემურ ბანძელაძეს,** რომელსაც ხუმრობით „მოურავს" ეძახიან და ყველაზე ახალგაზრდას — **ნათია გვანცელაძეს.** ნათია რამდენიმე უცხო ენას ფლობს და უცხოელ ვიზიტორებს გიდობას უწევს, რისთვისაც მან ბორის თვალოძის და სხვა ძველი კადრების დახმარებით, უკვე საფუძვლიანად შეისწავლა ბოტანიკური ბაღის წარსული, აწმყო და მომავლის შექმნაშიც სხვებთან ერთად აქტიურად არის ჩართული.

და ინტერვიუს ბოლო კითხვა ისევ ამირან ხვადაგიანთან:

— ბატონო ამირან, ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გიმუშავიათ, აქაურობისგან რადიკალურად განსხვავებულ ადგილებზე. როგორ გგონიათ, დღეს თქვენ იქ ხართ, სადაც უნდა იყოთ?

ეღიმება და ამბობს:

— მე თვითონაც კი მიკვირს, იმდენი აქამდე დაფარული შესაძლებლობა, თუ ფანტაზიის უნარი აღმოვაჩინე ჩემში. ბოტანიკური ბაღის მეორე სიცოცხლესთან ერთად, ჩემი მეორე სიცოცხლეც დაიწყო. დიახ, მე იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო...

ამ ვრცელი წერილით იმის მეათედიც კი ვერ გიამბეთ, რაც საკუთარი თვალით უნდა ნახოთ ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში.

ირმა მარდალეიშვილი